დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადებისა და გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

კომისია საანგარიშო პერიოდში მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით, ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 10 კომისიის სხდომა. სხდომებზე განხილული საკითხები ეხებოდა კომისიის კვარტალური გეგმების დამტკიცებას, მერიის სტრუქტურული ერთეულების, მის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების ანგარიშების მოსმენასა და შეფასებას.

საკითხებთან დაკავშირებით კომისიამ საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე წარადგინა დასკვნები.

განხილულ იქნა ქედის მუნიციპალუტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი. მერიაში გაიგზავნა წინადადებები გასათვალისწინებლად.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთად სოციალური და ჯანდაცვის პროექტების დაგეგმვასა და ორგანიზებაში მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევის მიზნით. აქტიურად ესწრებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილ, კულტურულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

კომისია გაეცნო საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ შემუშავებულ ორ თემატურ მოკვლევას სკოლამდელი განათლების მიმართულებით:

1. ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ყველა ბავშვის თანაბარი ხელმისაწვდომობა;
2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე.

თემატური მოკვლევის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების, დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებებისა და ზეპირ მოსმენებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა და გაიცა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისთვის რეკომენდაციები. ასევე, რეკომენდაციები განკუთვნილია ყველა იმ უწყებისათვის, რომელსაც გარკვეული ვალდებულება და უფლებამოსილება ეკისრება ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან მიმართებით.

ქედის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, კომისიის სახით ჩართული იყო ააიპ საორსას მიერ დაორგანიზებულ პროექტში ,,ინკლუზიური ხმები აჭარის რეგიონში", რომლის ფარგლებში განხორციელდა არაერთი საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრა.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სსსმ და შშმ პირების მშობლებსა და ოჯახის წევრებს მათი გაძლიერებისა და მხარდაჭერისთვის.

პროექტის მიზანი იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა, მოზარდთა და დედათა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობის ხარისხის ზრდა.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.